



ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი  
American International High School-College "Progress"



ტექნოლოგიების განვითარების  
დებულება 2021

## ტექნოლოგიების განვითარების დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის (შემდგომში - სკოლა) ტექნოლოგიების განვითარების დებულება (შემდგომში - წესი) აღწერს სკოლაში ტექნოლოგიების დანერგვის პროცესს სასწავლო და სამუშაო პროცესში;
2. არსებული ტექნოლოგიების დებულება ხელს უწყობს სკოლის სამივე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საფეხურზე საგნებში ტექნოლოგიების ინტეგრირებას.
3. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია:
  - სწავლა-სწავლების ეფექტურობა;
  - კომუნიკაციის ეფექტურობა;
  - მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა;
  - მასწავლებელთა მოტივაციის ზრდა;
  - ციფრული კომპეტენციის განვითარება;
  - ისტ-ის უსაფრთხო გამოყენება;
  - თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
  - XXI საუკუნის უნარების განვითარება.
4. ტექნოლოგიების დანერგვის ძირითადი ამოცანაა საგნობრივ კურიკულუმებში ტექნოლოგიების ინტეგრირება, როგორც სწავლა-სწავლების გასაუმჯობესებელი ინსტრუმენტი.

### მუხლი 2. ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი

1. ტექნოლოგიების გეგმის შემუშავების, განხორციელების და მისი მონიტორინგის მიზნით დირექტორის ბრძანებით შეიქმნება ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი.
  - 1.1. ჯგუფი შედგება შემდეგი სავალდებულო წევრებისგან:
    - 1.1.1. ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი-სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უხელმძღვანელებს ჯგუფის მუშაობას;
    - 1.1.2. საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები:
      - მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა;
      - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;
      - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;
      - უცხოური ენების კათედრა;
      - საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრა;
      - დაწყებითი კლასების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა;
  - 1.2.3. ბიბლიოთეკარი.

### მუხლი 3. სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნა/შემუშავება

1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ✚ შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
- ✚ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარების გეგმის შემუშავება;
- ✚ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ✚ უკვე დანერგილი საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების შეფასება;
- ✚ ტექნოლოგიების გამოყენების უნარების შეფასება/ანალიზი;

### მუხლი 4. პროფესიული განვითარება

1. პროფესიული განვითარებისა და სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფი უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვას. მასწავლებლები თავის მხრივ, უზრუნველყოფენ საკლასო ოთახში ტექნოლოგიების ეფექტურად და მიზნობრივად გამოყენება/ინტეგრირებას. აღნიშნული მიზნით ხორციელდება:

- ✚ მასწავლებლებისათვის ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი გარემოს შექმნა;
- ✚ საგნობრივი სტანდარტების გადამუშავება;
- ✚ ციფრული კომპეტენციის გააზრება და ყველა საგანში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ✚ მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

### მუხლი 5. ინფრასტრუქტურა

1. სწავლა-სწავლების პროცესში უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა), ქსელის ინფრასტრუქტურის და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხორციელდება ეროვნული, AHS სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ამ მხრივ ხორციელდება:

- ✚ სკოლაში ლოკალური ქსელის და თანამედროვე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ✚ SMART დაფების რაოდენობის გაზრდა, აღნიშნული დაფებით სკოლის საკლასო ოთახების 70%-ით უზრუნველყოფა.
- ✚ ახალი ისტ ლაბორატორიის დამტება.
- ✚ საკლასო ოთახებში კომპიუტერების რაოდენობის გაზრდა.

### მუხლი 6. შეფასება

1. ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი უზრუნველყოფს სკოლის ტექნოლოგიის გამოყენების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეფასებას. ამ კუთხით ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ✚ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება საგნობრივ კათედრებთან, ლიდერობისა და არაფორმალური განვითარების პროექტების მენეჯერთან ტექნოლოგიების გამოყენების

შესაფასებლად;

- ✚ შეფასების შემუშავება მოსწავლის ტექნოლოგიების ცოდნის დასადგენად ISTE სტანდარტების შესაბამისად;
- ✚ არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე საჭირო ცვლილებების შეტანას სამოქმედო გეგმაში.

2. მიზნის მიღწევის ინდიკატორი იქნება:

- ✓ მოსწავლეების მიერ ტექნოლოგიების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ხელს შეუწყობს კრიტიკული, შემოქმედებითი და ტრანსფერის უნარის განვითარებას;
- ✓ მოსწავლეების მიერ ტექნოლოგიების გამოყენება კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით;
- ✓ მოსწავლეების მიერ ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება;

მუხლი 7. დაგეგმვა

1. არსებული მიზნების მისაღწევად და შესაბამისი აქტივობების განსასაზღვრად ტარდება ტექნოლოგიების ჯგუფის სამუშაო შეხვედრები სემსტრის განმავლობაში მინიმუმ 2-ჯერ. სამუშაო ჯგუფები გაანალიზებენ გატარებულ სამუშაოს, მონიტორინგის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ ტექნოლოგიების ჯგუფის სამოქმედო გეგმაში შეიტანან ცვლილებებს.

2. სასწავლო წლის ბოლოს ანგარიში წარედგინება აკადემიურ დირექტორს და დირექტორებს. ნებისმიერი ახალი აღჭურვილობის შექმნის აუცილებლობა დასაბუთებული უნდა იყოს ტექნოლოგიების ჯგუფის მიერ და შეთანხმებული დირექტორებთან.

3. სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ბაზა

1. კომპიუტერი - 28
2. ლეპტოპების -26
3. პროექტორი - 15
4. SMART დაფა- 3
5. ისტ ლაბორატორია- 1
6. STEM-ლაბორატორია -1
7. ტელევიზორი -13

4. მთელი შენობა დაკავშირებულია მრავალრეჟიმიანი ბოჭკოვანი კაბელით, რომელიც სკოლის საკუთრებაშია. სკოლის ინტერნეტის სიჩქარეა 50 მბ/ წმ (ახალი ქსელები). დღეს სკოლა დაახლოებით 295 მოსწავლეს ემსახურება. დღეისათვის სკოლის ყველა სივრცეში არის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი უკაბელო წვდომით.





## მუხლი 8. კომუნიკაცია

1. სკოლა კომუნიკაციას მშობლებთან და თანამშრომლებთან ძირითადად ახდენს კორპორატიული ელექტრონული ფოსტით, ელექტრონული ჟურნალით “EduPage”, ვებ-გვერდით, სოციალური ქსელით, ნაბეჭდი მასალის საშუალებით.

1.1. ონლაინ სწავლებისას ვიყენებთ Zoom პლატფორმას.

2. ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს აქვს წვდომა სასწავლო პლატფორმაზე მომხმარებლის სახელისა და პაროლების გამოყენებით (შესაბამისად);

3. სკოლის ელ.ფოსტა ემყარება Gmail პლატფორმას და ყველა მასწავლებელს, მოსწავლეს აქვს ანგარიშები და გამოიყენება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნით.

4. ჩვენი რეგულარული მომხმარებლებისთვის, მათ შორის პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის გამოცდილებისა და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩვენ ვიყენებთ სოციალურ ქსელებს: Facebook, YouTube, Instagram.

5. მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის დანერგილია (International Society for Technology in Education (ISTE)) განათლების ტექნოლოგიების საერთაშორისო საზოგადოება (ISTE) სტანდარტები მოსწავლეებისთვის;

6. მოსწავლეები ახდენენ კრეატიული აზროვნების დემონსტრირებას, ცოდნის აგებას და ინოვაციური პროდუქტებისა და პროცესების განვითარებას ტექნოლოგიის გამოყენებით, კერძოდ, მოსწავლეები:

- ✓ იყენებენ არსებულ ცოდნას ახალი იდეების, პროდუქტების ან პროცესების შესაქმნელად.
- ✓ ქმნიან ორიგინალურ ნამუშევრებს, როგორც პირადი ან ჯგუფური გამოხატვის საშუალებას.
- ✓ იყენებენ მოდელებს და სიმულაციებს რთული სისტემებისა და საკითხების შესასწავლად.
- ✓ განსაზღვრავენ ტენდენციების და პროგნოზირების შესაძლებლობებს.

7. მოსწავლეები იყენებენ ციფრულ მედიასა და გარემოს კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის, მათ შორის დისტანციურად, ინდივიდუალური სწავლის ხელშესაწყობად და სწავლაში მონაწილეობის მისაღებად, კერძოდ, მოსწავლეები:

- ✓ ურთიერთქმედებენ, თანამშრომლობენ და კონტაქტს ამყარებენ თანატოლებთან, ექსპერტებთან ან სხვა ადამიანებთან, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა ციფრულ გარემოსა და მედიას.
- ✓ მრავალფეროვანი აუდიტორიისთვის ინფორმაციისა და იდეების ეფექტურად კომუნიკაცია მრავალფეროვანი მედიისა და ფორმატის გამოყენებით.
- ✓ კულტურული გაგებისა და გლობალური ცნობიერების განვითარება სხვა კულტურის წარმომადგენელ მოსწავლეებთან ურთიერთობით.
- ✓ ეხმარებიან პროექტის გუნდებს ორიგინალური ნამუშევრების შექმნაში ან პრობლემების გადაჭრაში.

8. მოსწავლეები იყენებენ ციფრულ ინსტრუმენტებს ინფორმაციის შეგროვების, შეფასებისა და გამოყენების მიზნით. მოსწავლეები ახორციელებენ შემდეგ ქმედებებს:

- ✓ სტრატეგიის დაგეგმვა კვლევის წარმართვის მიზნით.

- ✓ სხვადასხვა წყაროებიდან და მედიიდან ინფორმაციის მოძიება, ორგანიზება, ანალიზი, შეფასება, სინთეზირება და ეთიკურად გამოყენება.
- ✓ ინფორმაციის წყაროების და ციფრული საშუალებების შეფასება და შერჩევა კონკრეტული ამოცანებისთვის მიზანშეწონილობის საფუძველზე.
- ✓ მონაცემთა დამუშავება და შედეგების მოხსენება.

9. მოსწავლეები იყენებენ კრიტიკული აზროვნების უნარს, დაგეგმონ და ჩაატარონ კვლევები, მართონ პროექტები, გადაწყვიტონ პრობლემები და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები შესაბამისი ციფრული საშუალებებისა და რესურსების გამოყენებით, კერძოდ, მოსწავლეები:

- ✓ ავლენენ და განსაზღვრავენ ავთენტურ პრობლემებს და მნიშვნელოვან კითხვებს კვლევისთვის.
- ✓ გეგმავენ და მართავენ ღონისძიებებს გადაწყვეტილების მიღების ან პროექტის დასრულების მიზნით.
- ✓ ახდენენ მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს, გამოსავლის ძიების და/ან ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
- ✓ იყენებენ მრავალ პროცესს და მრავალფეროვან პერსპექტივებს ალტერნატიული გადაწყვეტილებების შესასწავლად.

10. მოსწავლეებს ესმით ეთიკური, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიასთან. მათ შორის:

- ✓ ინფორმაციის, ტექნოლოგიის უსაფრთხო და ლეგალური გამოყენება.
- ✓ ტექნოლოგიების მიზანმიმართულად გამოყენება, რომელიც მხარს უჭერს თანამშრომლობას, სწავლას და პროდუქტიულობას.
- ✓ ციფრული მოქალაქეობისთვის პასუხისმგებლობის აღება.

11. მოსწავლეები სწავლობენ ტექნოლოგიური ცნებებს, სისტემებისა და ოპერაციების გამოყენებას. მათ შორის:

- ✓ ტექნოლოგიური სისტემების გააზრება და გამოყენება.
- ✓ პროგრამების ეფექტურად და პროდუქტიულად შერჩევა და გამოყენება.
- ✓ კომპიუტერულ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.
- ✓ არსებული ცოდნის გადატანა ახალი ტექნოლოგიების შესწავლის დროს.

მუხლი 9. მასწავლებლის სტანდარტი (ISTE)

მასწავლებლის საქმიანობა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ სტანდარტებს:

- ✓ პროფესიულ მიზნად დასახეთ ტექნოლოგიის წყალობით შესაძლებელი პედაგოგიური მიდგომების შესწავლა და გამოყენება და განიხილეთ მათი ეფექტურობა.

- ✓ პროფესიული ინტერესების განხორციელება ადგილობრივი და გლობალური სასწავლო ქსელების შექმნის და მათში აქტიურად მონაწილეობის გზით.
- ✓ ინფორმირებულობის შენარჩუნება მიმდინარე კვლევების თაობაზე, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, მათ შორის პედაგოგიური მეცნიერებების აღმოჩენების თაობაზე.
- ✓ კოლეგებისათვის მაგალითის ჩვენება სწავლების ახალი ციფრული რესურსების და ინსტრუმენტების იდენტიფიცირების, შესწავლის, შეფასების, კურირებისა და მიღების საკითხებში.
- ✓ სწავლის დაგეგმვისას დროის მიძღვნა კოლეგებთან თანამშრომლობისთვის ტექნოლოგიის გამოყენებაზე დაფუძნებული შესაბამისი სასწავლო პროცესის შესაქმნელად.
- ✓ შეფასების მონაცემების გამოყენება წინსვლის გასაკონტროლებლად და მოსწავლეებთან, მშობლებთან, განათლების სფეროში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შესაბამისი კომუნიკაცია, მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად მუშაობის გასაუმჯობესებლად.

#### მუხლი 10. ISTE საგანმანათლებლო ლიდერის (ტოპ-მენეჯმენტი)

ტექნოლოგიურად დაკავშირებული მოსწავლე მიზნად უნდა ისახავდეს იყოს მუდამ განვითარებაზე ორიენტირებული, ინფორმირებული ტექნოლოგიების და სასწავლო მეცნიერებებში წინსვლის შესახებ.

#### მუხლი 11. სერვისების ათვისება კოლაბორაციის მიზნით

1. სერვისების ასათვისებლად საჭიროა:

- 1.1. გავიგოთ განსხვავება Google -ში თანამშრომელთა (Staff) და პროფესიული განვითარების (PLC) ჯგუფებს შორის;
- 1.2. გავიგოთ, როგორ შევქმნათ თანამშრომელთა ჯგუფები და კომუნიკაციის არხები ამ ჯგუფებში
- 1.3. გავიგოთ, როგორ ხდება ნავიგაცია თანამშრომელთა ჯგუფებში და ვმართოთ მისი წვდომის უფლებები გავიგოთ, როგორ ატვირთოთ / შექმნათ ფაილები, დაიწყეთ და ვუპასუხოთ საუბრებს და გამოვაქვეყნოთ განცხადებები.

#### მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.
2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.